საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1453 2015 წლის 8 ივლისი ქ. თბილისი

2015 წელს ქ. თბილისში, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ,,თბილისი 2015-ის" სრულფასოვნად და მაღალი სტანდარტებით ჩასატარებლად, მიხეილ მესხის სახელობის ,,ლოკომოტივის" სტადიონის ფასადის, ინტერიერის, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით, სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2015 წელს ქ. თბილისში, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ,,თბილისი 2015-ის" სრულფასოვნად და მაღალი სტანდარტებით ჩასატარებლად, მიხეილ მესხის სახელობის ,,ლოკომოტივის" სტადიონის ფასადის, ინტერიერის, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ა(ა)იპ - თბილისის

განვითარების ფონდის მიერ განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი